პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 44 (15865)

21 თებერვალი ხუთშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

## ხუთწლედის გადამწყვეტ წელს — დარტყმითი შრომა!

# ღირსეული ჯილდო გამარჯვებულებს

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს 1973 წელს მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

დადგენილებაში ამ საკითხზე აღნიშნულია, რომ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშებმა, მეურნეობათა სპეციალისტებმა და ხელმძღვანელებმა, რომლებიც ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1973 წელს მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მზესუმზირასა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გასწიეს დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა სოფლის მეურნეობის მშრომლები დაერაზმათ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მიწების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მელიორაციის საშუალებების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების — როგორც დარგის დაჩქარებული განვითარების ფაქტორების — ეფექტიანი გამოყენებისათვის იმ ამოცანათა შესაბამისად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დასახა. ეს იყო 1973 წელს მიწათმოქმედებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევის გადამწყვეტი პირობა.

**მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის 1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით დააჯილდოვეს შემდეგი რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები:**

**ქარელის, მარნეულის, სამტრედიის, ხელვაჩაურისა და ცხაკაიას რაიონები; გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის ლენინის სახელობის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის, ქარელის რაიონის დაბა ქარელის სტალინის სახელობის, ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბრის", მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის რუსთაველის სახელობის, სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშის „წითელი ოქტომბრის", ქალაქ ტყიბულის ზონის სოფელ გურნის, ხაშურის რაიონის სოფელ წრომის, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის ჯაფარიძის სახელობის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის, ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის „გამარჯვების" კოლმეურნეობები, მარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, გალის რაიონის ქვემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობა, კასპის რაიონის კოდისწყაროს მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, მარნეულის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა, ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქარელის რაიონის რუისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა, მახარაძის რაიონის ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, გორის რაიონის ბერბუკის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გლდანის ექსპერიმენტული მეურნეობა (მცხეთის რაიონი).**

შეაჯამეს აგრეთვე 1973 წელს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება-დამზადებაში საუკეთესო შედეგების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე აღნიშნულია, რომ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშებმა, მეურნეობათა სპეციალისტებმა და ხელმძღვანელებმა, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1973 წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების გადიდებაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა შარშანდელი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

1973 წელს ბოსტნეულის წარმოება-დამზადების საუკეთესო შედეგების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს წითელი დროშებით დააჯილდოვეს **მარნეულის, ვანისა და ხაშურის რაიონები, აგრეთვე ვანის რაიონის სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის კოლმეურნეობა, მარნეულის რაიონის ყაჩაღნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა და გორის რაიონის შავშვების მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა.**

1973 წელს კარტოფილის წარმოება-დამზადების საუკეთესო შედეგების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს წითელი დროშებით დააჯილდოვეს **ბოლნისის რაიონი, აგრეთვე ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის მ. ი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, წალკის რაიონის სოფელ ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ბოლნისის რაიონის არახლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა.**

1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიენიჭათ ფულადი პრემიები, აგრეთვე დაჯილდოვდნენ სატვირთო და მსუბუქი ავტომობილებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს დაავალეს ღრმად გააანალიზონ 1973 წლის შედეგები, განაზოგადონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მოწინავე მეურნეობებისა და რაიონების გამოცდილება, გაავრცელონ მათი მუშაობის ხერხები და მეთოდები, ამასთან ფართოდ გამოიყენონ პერიოდული პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, მასობრივი პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენილ მეურნეობათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გაუწიონ მათ მუდმივი დახმარება წარმოების განვითარების დაჩქარების, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

* * *

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სოფლის მეურნეობის მშრომლები მიღწეულს არ დასჯერდებიან, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1974 წელსა და მომდევნო წლებში, რათა შეასრულონ მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ხილის, ყურძნის, თამბაქოს, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმები, ნაკისრი ვალდებულებანი, განამტკიცებენ და გადააჭარბებენ მიღწეულ მიჯნებს, თავიანთ წვლილს შეიტანენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში.** (საქინფორმი).

## — ეს დღეები სოფლად —



### თესავენ ბარდას

**წ**ყალტუბოს რაიონის გეგუთის მეთესლეობის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები შეუდგნენ ბოსტნეულის კულტურების თესვას. 150 ჰექტარზე უკვე დათესილია ბარდა.

წელს საბჭოთა მეურნეობის მშრომლებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ ხვადასხვა ბოსტნეული კულტურების 1.500 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თესლი.

სურათზე: ბარდის თესვა გეგუთის საბჭოთა მეურნეობაში.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## პროდუქცია ხარისხის ნიშნით

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „გელათის" კოლექტივმა იანვრის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 102,4 პროცენტით გაანაღდა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14 პროცენტს გადააჭარბა.

გაერთიანების კოლექტივი განუხრელად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. შარშან დეკემბერში მოსკოვში წარდგენილმა მამაკაცის პერანგის სამმა მოდელმა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის პირველი პარტია აქ იანვარში უკვე დაამზადეს.

კარგი მუშაობით თავი ისახელეს 1, 2, 3 სამკერვალო საამქროთა კოლექტივებმა, რომლებსაც ი. ჩიხლაძე, ე. ბერაძე, ქ. ჩუბინიძე უძღვებიან.

## გაზაფხულს — ჯანსაღი ტექნიკა!

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად რესპუბლიკაში 3.758 ტრაქტორიდან რემონტი გაუკეთდა 2.739 ტრაქტორს, რაც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალების შესრულების 73 პროცენტს შეადგენს. გუთნები შეკეთებულია 7.344 ცალი. ეს გეგმის 86 პროცენტია.

დაწინაურდნენ თელავის რაიონის მექანიზატორები. მათი პირობა იყო პირველ მარტამდე შეეკეთებინათ 125 ტრაქტორი. ეს დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს. რემონტი გაუკეთეს 208 ტრაქტორს. დასასრულს უახლოვდება სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების წარმატებით შესასრულებლად ჯანსაღი ტექნიკის მოსამზადებლად კარგი ტემპი აქვთ აღებული ბოლნისის, გეგეჭკორის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, თიანეთის, წყალტუბოს, საჩხერის, ამბროლაურის, ცხაკაიას, ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს რაიონებს, აჭარის ასს რესპუბლიკას.

სულ მალე დაიწყება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის საქმე კი დმანისის რაიონში სანახევროდაც არ არის შესრულებული, 32 ტრაქტორიდან რემონტი გაუკეთეს მხოლოდ 14 ტრაქტორს. შეკეთებული არ არის 19 გუთანი, 11 სათესი მანქანა და სხვა ტექნიკა.

ახალქალაქის რაიონის მექანიზატორთა პირობაა პირველ მარტამდე შეაკეთონ 80 ტრაქტორი, ფაქტიურად დავალების შესრულება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

## ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე თქვენ მთელ ძალ-ღონესა და გამოცდილებას ახმართ კომუნისტური მშენებლობის საქმის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეალების თავდადებულ სამსახურს. მუშაობთ რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, თქვენ, ალექსი ნიკოლოზის-ძევ, დიდ ყურადღებას უთმობთ პარტიის ხაზის შემდგომ განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის განვითარებას, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ალექსი ნიკოლოზის-ძევ, დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

| | | |
|---|---|---|
| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |



## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის ლენინის ორდენითა და მეორე „ნამგლისა და უროს" ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენითა და მეორე „ნამგლისა და უროს" ოქროს მედლით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 20 თებერვალი.

## დარბაზობა ა. ნ. კოსიგინთან

20 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ქ. ბანზრაგჩი და გულითადად, ამხანაგურად ესაუბრა მას.

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში პაკ სი გვონი და ესაუბრა მას. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## წითელი დროშა — ამიერკავკასიის მაგისტრალს

**1973 წელი** ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს ამიერკავკასიის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზის მშრომელებმა. წლიური გეგმა შეასრულეს ვადაზე 16 დღით ადრე.

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა 1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის რკინიგზის კოლექტივს მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საზეიმო ვითარებაში გაიმართა საპატიო ჯილდოს გადაცემა. რკინიგზელთა სახლი სადღესასწაულოდ იყო მორთული. საზეიმო კრება გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ი. გობიანიძემ.** ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ა. ნ. ჩურკინმა** ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებს გულთბილად მიულოცა მიღწეული წარმატებანი და წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება მაგისტრალის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილეს **ა. თ. პოდპალის.**

ამიერკავკასიის მაგისტრალის სახელოვანი კოლექტივის შთაგონებული, შემოქმედებითი შრომით მოპოვებული მაღალი ჯილდო, თქვა ამხ. პოდპალიმ, ნათელ ფურცლად შევა სსრ კავშირის ერთ-ერთი უძველესი რკინიგზის ისტორიაში, რომელმაც შარშან არსებობის 100 წლისთავი იზეიმა.

შემდეგ ამხ. პოდპალიმ თქვა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომლები მუდამ იყვნენ ახალი სატრანსპორტო ტექნიკის დანერგვისათვის, გადასაზიდი საშუალებების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, მუშაობის მეთოდების სრულყოფისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ამხ. პოდპალიმ აღნიშნა, რომ მიღწეულ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს რკინიგზის ყველა განყოფილების კოლექტივებმა, რომლებმაც მიაღწიეს რიტმულ მუშაობას და წარმატებით შეასრულეს ძირითადი მაჩვენებლები. ერევნის განყოფილების კოლექტივიც დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. მთელი რიგი საწარმოების თავდადებული შრომა აღინიშნა რკინიგზის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებით.

კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში ამხ. ა. თ. პოდპალიმ გამარჯვებულებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა.

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა **გ. ი. ქადაგიძემ** დამსწრეთა სახელით, რკინიგზის მთელი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა სახელით კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას აღუთქვა, რომ რკინიგზის მშრომლები არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას ხუთწლედის ყველა დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

ტრიბუნაზე სიტყვით გამოდიან ერევნის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილე **რ. ლ. ოვსეპიანი,** ხაშურის ენერგომომარაგების უბნის ელექტრომექანიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი **კ. ს. ჩიტაძე,** თბილისის დისტანციის მონტიორი **ტ. ა. შადურა,** სოხუმის ენერგომომარაგების უბნის უფროსი **გ. მ. ქორიძე,** ლენინაკანის სალიანდაგო დისტანციის მთავარი ინჟინერი **მ. მ. მკრტიჩიანი.** მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და ილაპარაკეს შარშან მიღწეულ წარმატებებზე, მომავლის გეგმებზე.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ი. ვადაჭკორია** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი.** (საქინფორმი).

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## განვამტკიცოთ წარმატებანი, მივაღწიოთ მეტს

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს მიმდინარე წლის იანვარში სოფლის მეურნეობაში გაწეული მუშაობის შედეგები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. გიგიბერიამ.**

საინფორმაციო მოხსენება განხილულ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა.**

იანვარში გაწეული მუშაობის შესახებ თათბირს მოახსენეს პარტიის ქარელის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, კასპის რაიკომების პირველმა მდივნებმა **გ. ბადრიშვილმა, შ. დევდარიანმა, ნ. რუხაძემ, ლ. ისაკაძემ,** საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ა. ურდულაშვილმა,** სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსმა **გ. ტოტჩიევმა,** მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა **კ. ჯამრულიძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ი. რთველიაშვილმა,** საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა **მ. ლვინჯილიამ,** აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ა. ანანიძემ,** რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარემ **დ. სარიშვილმა,** სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა **ვ. ჯინჯიხაძემ,** რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ **ბ. დოლიძემ.**

საინფორმაციო მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომლებმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის პირველი დღეებიდანვე მხურვალედ მოჰკიდეს ხელი მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო დავალებათა და გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგროგანყოფილებებში, ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, მიწის, სასუქების, ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის. მიმდინარეობს დიდი ყოველმხრივი მზადება საგაზაფხულო საველე სამუშაოებისათვის. დაძაბულად შრომობენ მეცხოველეობის მუშაკები, რათა წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მოსავლიანობის ზრდას, არის კარგი ხარისხის თესლი. თათბირზე ითქვა, რომ შეტმა წილმა მეურნეობებმა 1974 წლის მოსავლისათვის საჭირო რაოდენობით მოამზადეს თესლი, წმენდენ და ახარისხებენ მას, უზრუნველყოფენ მის მაღალ სათეს კონდიციას. მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აკლიათ ხორბლის, ქერის, ლობიოს, სოიის, ნიორის, კიტრის, სტაფილოს, სხვა კულტურების თესლი. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის მეურნეობანი მხოლოდ 88 პროცენტით არიან უზრუნველყოფილი თავთავიანი მარცვლეულის, პარკოსანი კულტურების თესლით. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ადიგენის, ქარელის, ბორჯომის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში.

(დასასრული მე-2 გვ.).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# განვამტკიცოთ წარმატებანი, მივაღწიოთ მეტს

(დასასრული)

საჭირო რაოდენობით არა აქვთ სიმინდის თესლი საგარეჯოს, გარდაბნის, თეთრი წყაროს რაიონებს. კარტოფილის სათესლე ფონდი არ მომარაგეს წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ახალციხის, ბოგდანოვკის რაიონების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

წალენჯიხის, დმანისის, მცხეთის, ახალქალაქის, ხობის რაიონები და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. ნელი ტემპით მიმდინარეობდა გუთნების, სათესლების, სათიბელების, კულტივატორებისა და სხვა აგრეგატების შეკეთება. ბევრმა რაიონმა იანვარში თავი ვერ გაართვა ავტოტრანსპორტის შეკეთების საქმეს. ახლა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, მეტად საჭიროა მოვაგვაროთ, განსაკუთ-

მოიყვანეს მაგალითები, როცა ერთნაირი ნიადაგურ-კლიმატური პირობების კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონებში იღებენ მარცვლეულისა და სხვა კულტურების სხვადასხვანაირ მოსავალს. ეს იმის შედეგია, რომ ირღვევა აგროტექნიკის წესები, არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელემენტარული მოთხოვნები. იანვარში, მაგალითად რესპუბლიკაში, საგა-

ტექნიკა მრავალწლოვანი ნარგავების გასაშენებლად ნიადაგს მომზადებაში, ახალი ბაღ-ვენახებისათვის ნაკვეთების შერჩევაში. სახელმწიფო სანერგე მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმარისი რაოდენობით გამოყვანილია სხვადასხვა ხეხილის სტანდარტული ნერგები და ამავე დროს არის რაიონები, სადაც ბაღების გაშენების გეგმის შეუსრულებლობას ხსნიან.... სარგავი მა-

საქმეს, ხოლო ზოგიერთ რაიონში უხეში დარღვევებია დაშვებული პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვაში. თათბირზე მოიყვანეს საკვების განიავების, მისი უყაირათო და არარაციონალური გამოყენების, წველადობის შემცირების, ცუდი სუქების ფაქტები. იანვარში ორჯონიკიძის, გორის, ქარელის, ლანჩხუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ფერმებში შემცირდა წველადობა. ძრო-

ხმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, იანვარში ტრაქტორების რემონტის საქმეში ჩამორჩნენ მახარაძის,

დების კულტურის ამაღლების, თვითეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ეფექტიანად გამოყენების საკითხებს.

ვეხანების აღდგენის, ხეხილის ბაღების გაფართოების დადებითი მაგალითები. ამასთან აღინიშნა, რომ უხეშად ირღვევა აგრო-

# ოფიციალური განყოფილება

## მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა უკეთ მომზადებისა და მოწყობისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1974 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მომზადებისა და მოწყობის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“.

1974 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მა-

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ 1974 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებს,

## სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. სახარბიტრაჟს ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყანაში სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს საქმიანობის ორგანიზაციისათვის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის. მის მთავარ ამოცანებს შორის არის შემდეგი — უზრუნველყოს სამეურნეო დავის გადაჭრისას საწარმო-

# უფრო სრულად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები

### საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VIII პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს VIII პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებისა და პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესაბამისად.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ს. ხარბედიამ და კამათში გამოსულმა ორატორებმა — აჭარის პროფკავშირთა

შირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. გადაჭარბებით

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდა. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საწარმოო ფონდები, გავაუმჯობესოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, დავაჩქაროთ ახალი, უფრო სრულყოფილი. მანქანების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, გავაძლიეროთ ბრძოლა ნედლეულისა და მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის.

...ვისა შემოსავალ-გასავლის ნაწილში 131.961 ათასი მანეთი.

პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ VI და VIII პლენუმებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ.

(საქინფორმი).



## ლითონის მეორედ დაბადება

წარმატებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე წელი ვერცხლის შემცველი ნარჩენების პირველადი დამუშავების რესპუბლიკური პუნქტ-ლაბორატორიის კოლექტივმა. მოსკოვში, მეორადი დამუშავების ქარხანაში გაიგზავნა ასობით კილოგრამი ლითონის შემცველი ზეგეგმითი მასა.

პუნქტი-ლაბორატორია, რომელსაც შ. პერტაია ხელმძღვანელობს, სულ სამი წელია რაც არსებობს, მაგრამ უკვე კარგად არის ცნობილი თავისი მაღალი მაჩვენებლებით და შრომის კარგი ორგანიზაციით, ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ლაბორატორიებს შორის შეჯიბრებაში მოპოვებული პირველი ადგილი ამის დამადასტურებელია.

წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისას ლაბორატორიის გამგემ ს. პერტაიამ შექმნა ფიქსაჟის ხსნარის დამლექი აპარატი, რომელიც ძველი კონსტრუქციის 50 აპარატის მუშაობას ცვლის.

სურათზე: ს. პერტაია (მარჯვნივ) და ლაბორანტი ი. კიკვაძე ქიმიკატებს ანალიზისათვის ამზადებენ.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საავტორო ჰონორარის განაკვეთებისა და გადახდის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოცემისათვის, საჯარო შესრულებისა და სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთებისა და გადახდის წესის შესახებ“.

დადგენილებით, კერძოდ, განსაზღვრულია, რომ უცხოელ ავტორებსა და მათ უფლებამონაცვლეებს, რომელთა უფლებები სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაცულ უნდა იქნას იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირი შეუერთდა 1952 წლის მსოფლიო კონვენციას საავტორო უფლების შესახებ, საავტო-

ტორო გასამრჯელოს გადასახდელად.

ორიგინალის ენაზე ნაწარმოებების გამოცემისათვის, აგრეთვე მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემისათვის ზემოთ აღნიშნულ უცხოელ ავტორებსა და მათ უფლებამონაცვლეებს საავტორო გასამრჯელო სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ პირველად გამოქვეყნებული (გამოცემული, საჯაროდ შესრულებული ანდა სხვაგვარად გამოშვებული) მათი ნაწარმოებების სსრ კავშირში გამოყენებისათვის 1973 წლის 27 მაისის შემდეგ, ერიცხებათ იმ ოდენობითა და წესით, რომლებიც სსრ კავშირში დადგენილია სსრ

ბისათვის ნაწარმოებების იმ სახეობათა გამოყენების გარდა, რომლებისთვისაც საავტორო გასამრჯელოს გადახდა დადგენილი იყო უწინ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის გამსახკომს დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და შრომსახკომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს დებულება სხვა ენებზე თარგმნილ ტექსტთან ერთად 1973 წლის 1 ივნისიდან დაწყებული სსრ კავშირში გამოცემული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საბჭოთა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების საავტორო გასამრჯელოს გადახდის. ოდენობისა

სხვაგვარად გამოშვებული) მათი ნაწარმოებების სსრ კავშირში გამოყენებისათვის 1973 წლის 27 მაისის შემდეგ (სსრ კავშირისათვის კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი), ერიცხებათ იმ ოდენობითა და წესით, რომლებიც სსრ კავშირში დადგენილია სსრ კავშირის მოქალაქე ავტორთა ნაწარმოებების შესაბამისი გამოყენებისათვის საავ-

დელად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ კონკრეტული მითითებანი, რომ დააწესონ საბჭოთა ავტორებისა და მათი მემკვიდრეებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდის წესი და ოდენობა სსრ კავშირში მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენე-

კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს „მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოცემისათვის, საჯარო შესრულებისა და სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთებისა და გადახდის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გამოყენების ინსტრუქცია. (ტასი).

# დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

პროფესორი შალვა იასონის-ძე კერესელიძე, — სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, სამთო მიწათმოქმედების მანქანების გენერალური კონსტრუქტორი, — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ სიმონის-ძე მერაბიშვილი, — მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

პერსონალური პენსიონერი სამსონ (სოსო) არქიფოს-ძე ხარაბაძე, — სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით.

# მეტი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, რძე, ხორცი — ქალაქს!

ორგანიზატორულმა მუშაობამ. შრომითი მეტოქეობის საკითხებს მჭიდროდ, ყოველდღიურად წყვეტდა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის რაიონული შტაბი. ამ ბოლო ხანს ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია გამიდიდრდნენ წარმატების მიღწევის ნაცადი ფორმებითა და საშუალებებით. ეს არის შეჯიბრების მსვლელობის ფართო საჯაროობა, შედეგების შესადარობა, სასარგებლო გამოცდილების გავრცელების შესაძლებლობა, მორალური და მატერიალური სტიმულების ერთიანი გამოყენება, მოწინავეთა შეფობა ჩამორჩენილებისადმი და ბევრი სხვა. ყოველივე ამის მოგვარებასა და წარმართვას ხელი შეუწყო შეჯიბრების ორგანიზატორთა ოპერატიულობამ. შტაბს მუდამ ჰქონდა ახალი მონაცემები

ამა თუ იმ მეურნეობის საქმიანობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევდა დაუყოვნებლივ გავლენა მოეხდინა საქმის მდგომარეობაზე, გამოეყენებინა სასწრაფო ღონისძიებანი მთლიანად არა მარტო მეურნეობის, არამედ ცალკეული მისი განყოფილებების ჩამორჩენის შემთხვევაში.

გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს წინათაც ვკისრულობდით, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი იყო ეკონომიურად დასაბუთებული. სწორედ ეს იწვევდა ჩავარდნებს. ახლა რაიონში არ არის არც ერთი წარმოების მუშაკი, რომელსაც არ ჰქონდეს ყოველმხრივ დასაბუთებული პირადი დავალება-გეგმა. ხელმძღვანელობს რა ამ გეგმით, იგი აწონ-დაწონის თავის შესაძლებლობებს. და იღებს გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებას.

ერთად შეკრებილი ეს ვალდებულებანი ხდება უკვე ბრიგადის ვალდებულება, ამ უკანასკნელთა ვალდებულებანი კი მეურნეობის ვალდებულებაა. ამრიგად, ყველა კოლექტივმა იცის, რისთვის იბრძვის იგი, დარწმუნებულია თავის ძალებში. ადამიანებს ეზრდებათ პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

აი მაგალითებიც. პირადი დავალება-გეგმების შემუშავების შემდეგ იღებდნენ გადიდებულ ვალდებულებებს. ყაჩაღის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც გ. გუსეინოვი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა მისთვის მიჩენილ ნაკვეთში გეგმით გათვალისწინებული 520 ტონის ნაცვლად მიიღოს 1.000 ტონა ბოსტნეული. ხოჯორნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მესამე განყო-

ფილების მეკარტოფილეებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ ჰექტარზე მოიწიონ 157 ცენტნერი კარტოფილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 97 ცენტნერისა და სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ტონისა. მარნეულის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს ყოველ ას ნერზზე მიიღონ 97 ბატკანი. ყაჩაღის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველებმა გადაწყვიტეს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ 36 ცენტნერამდე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 560 ტონა მარცვლეული — დაგეგმილზე ორჯერ მეტი.

ფართოდ გავრცელდა რაიონში წარმოების პროგრესული მეთო-

დები: ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა შემოდგომაზე, მზრალად ხვნის დაწყების წინ, და არა გაზაფხულზე, როგორც წინათ აკეთებდნენ, მინდვრის მავნებელთა წინააღმდეგ შხამქიმიკატებით ბრძოლა. არაფლის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყეს პერსპექტიული ჯიშის პამიდვრის „პერემოგას“ და „კრასნოდარსკის“ მოყვანა, რომლებიც ჰექტარზე იძლევიან 340 ცენტნერს, ცალკეულ ნაკვეთებში კი 600-700 ცენტნერს. წლეულს რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობა გადავა უხვმოსავლიანი ჯიშის პამიდორის თესვამოყვანაზე.

პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერება გამოიწვია. ყველა მეურნეობაში შემუშავებულია და უკვე ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მიწის უკეთ გამოყენების ღონისძიებანი. შეჯიბრება, რომლის დევიზია — ვაწარმოოთ მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია ნაკლები და-

ნახარჯებით, — ამავე დროს მოასწავებს სწრაფვას მისცენ თბილისის მშრომელებს რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი, ხორცი, რძე. მარნეულის რაიონის მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდონ 260.000 ცენტნერი ბოსტნეული, გეგმაზე 70.000 ცენტნერით მეტი.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ეცნობიან სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შეძენილ გამოცდილებას და ამაღლებენ სოფლის მშრომელთა აქტივობას. მათ პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის. (საქინფორმი).

# ა. ა. გრომიკოს ვიზიტი იტალიაში

**რომი,** 19 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). 19 თებერვალს იტალიის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც რომში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

ა. ა. გრომიკოსა და ჯ. ლეონეს შორის გაიმართა საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრობლემებს, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროებას.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს გამოითქვა კმაყოფილება ამ ურთიერთობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამო და აღინიშნა, რომ არის შესაძლებლობანი კიდევ უფრო წინ წაიწიოს მან სხვადასხვა დარგში, კერძოდ პოლიტიკურ დარგში.

ა. ა. გრომიკოსა და ჯ. ლეონეს საუბარი მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში.

საუბარს დაესწრნენ იტალიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მორო, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი რ. გაია, იტალიის ელჩი სსრ კავშირში ჯ. ვინჩი, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. ს. რიჟოვი და საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. დუბინინი.

პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ სადილი გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად.

ა. ა. გრომიკო დღეს ეწვია იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მ. რუმორს და ესაუბრა მას საერთაშორისო მდგომარეობის ურთიერთსაინტერესო აქტუალურ პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-იტალიის უშიშროების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საუბარმა ჩაიარა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

19 თებერვალს გრძელდებოდა ა. ა. გრომიკოსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მოროს მოლაპარაკება.

საერთაშორისო ვითარების შესახებ აზრთა გაზიარების დროს განიხილეს, კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები და განიარაღების საკითხები.

ნაშუადღევს საგარეო საქმეთა სამინისტროში ა. ა. გრომიკომ და ა. მორომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირისა და იტალიის მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ოქმს იტალიაში საბჭოთა საკონსულო დაწესებულებებისა და სსრ კავშირში იტალიის საკონსულო დაწესებულებების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს გახსნას მილანში და იტალიის გენერალური საკონსულოს გახსნას ლენინგრადში. მინისტრებმა ერთმანეთს გაუცვალეს აგრეთვე სიგელები საბჭოთა კავშირ-იტალიის საკონსულო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ნ. ს. რიჟოვმა დარბაზობა გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ იტალიის მთავრობის, პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ბევრი საზოგადო მოღვაწე.

## მოლაპარაკება ჟენევასა და ვენაში

**ჟენევა,** 19 თებერვალი. (საქდესი). დღეს აქ განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ა. ჯონსონი.

**ვენა,** 19 თებერვალი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა პლენარული სხდომა.

## შეხვედრა თეთრ სახლში

**ვაშინგტონი.** 20 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი თეთრ სახლში შეხვდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ი. ფაჰმის და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ო. ასსაკაფს. საუბარში მონაწილეობდა აგრეთვე სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. საუბრის შემდეგ პრეზიდენტმა ნიქსონმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი კისინჯერი მალე კვლავ გაემგზავრება ახლო აღმოსავლეთში.

## ახალი პროვოკაცია

**დამასკო.** 19 თებერვალი. (საქდესი). დღეს დილით ჩრდილოეთის უბანზე პატრულმა ცეცხლი დაუშინა სირიის ჯარების მოწინავე პოზიციებს. სირიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის ცნობაში ნათქვამია, რომ სირიის ჯარებმა მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე უპასუხეს.

# ჩილელი პატრიოტების დასაცავად

**ჰანოი.** ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც აქ გაიმართა, მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები, შეწყვიტონ სისხლიანი ტერორი ქვეყნის პატრიოტების წინააღმდეგ.

**პრაღა.** „თავისუფლება ლუის კორვალანს!“, „თავისუფლება ჩილელ დემოკრატებს!“, „სირცხვილი პინოჩეტის სისხლიან ხუნტას“ — ასეთი ლოზუნგებით ჩაიარა მშრომელთა მასობრივმა მიტინგმა ჩეხოსლოვაკიაში უდიდესი ფეხსაცმლის კომბინატის „სვიტის“ ერთ-ერთ ფაბრიკაში ქალაქ გოტვალდოვში.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება გადასცენ თავიანთი ერთი დღის ხელფასი ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის ჩეხოსლოვაკიის ფონდს.

**სოფია.** გმირი ჩილელი ხალხისადმი ძმური მხარდაჭერისა და საბრძოლო სოლიდარობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა აქ გამართული მიტინგი. მასში მონაწილეობდნენ ბულგარეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, მუშები, სტუდენტები. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრს ვ. ტეიტელბოიმსა და ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანს კარლოს ალტამირანოს.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა ორესტეს გიოლდიმ არგენტინელ ხალხს, ყველა კეთილი ნების ადამიანს მოუწოდა გამოვიდნენ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელი პატრიოტების დასაცავად, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან.

„არ დავუშვათ საშინელი ბოროტმოქმედება, გადავარჩინოთ ჩილელი კომუნისტების ხელმძღვანელი ამხანაგი კორვალანი“, — ხაზი გაუსვა ო. გიოლდიმ საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

**ლონდონი.** სამხრეთ აფრიკის კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო ფაშისტური ხუნტის დანაშაულობანი ჩილეში. აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე იუსუფ დადუ აღნიშნავს: „ჩვენ ვუერთებთ ხმას მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოთხოვნებს ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და ყველა ჩილელი პატრიოტის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ, რომლებიც საპატიმროებში იტანჯებიან“.

**კოპენჰაგენი.** ლოზუნგით „თავისუფლება ჩილეს პოლიტიკურ პატიმრებს!“, „შეწყვიტეთ წამება და დახვრეტა!“, „ბოლო მოეღოს ჩილეს სამხედრო ხუნტის თვითნებობას!“ აქ დაიწყო ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობის კვირეული. მას აწყობს ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის დანიის სალვადორ ალიენდეს სახელობის კომიტეტი. კომიტეტის საქმიანობას მხარს უჭერენ დანიის მრავალი პროფკავშირული და ახალგაზრდული ორგანიზაცია.

**ჟენევა.** ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის დაუყოვნებლივ განთავისუფლება მოითხოვეს ჩილეში შექმნილი მდგომარეობისადმი მიძღვნილი კრების მონაწილეებმა, რომელიც გაიმართა ციურიხის „ახალგაზრდობის ცენტრში“. ქალაქის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში სავსებით დაუჭირა მხარი ჩილელი ხალხის ბრძოლას ხუნტის წინააღმდეგ.

## შრომა და კაპიტალი



### ლოტარინგიის მეშახტეთა გაფიცვა

**საფრანგეთი.** ამას წინათ მასობრივმა გაფიცვამ მოიცვა ლოტარინგიის ქვანახშირის აუზი. მეშახტეები, რომლებმაც დათხოვნებისა და შრომის პირობების გაუარესების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუშაობა შეწყვიტეს, გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, რათა გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება მეწარმეთა პოლიტიკის გამო.

მათ შეუერთდნენ აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის ადგილობრივ საწარმოებში მომუშავე სხვა პროფესიის მშრომელები.

**სურათზე:** დემონსტრანტები მიემართებიან შახტების დირექციის შენობისაკენ.

**საქდესის ფოტო.**

## ტელეტაიპის ლენტიდან...

### სსრ კავშირთან ვაჭრობისათვის

□ **ბრაზილია,** 20 თებერვალი. (საქდესი). ბრაზილიის საქმიანი წრეები ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისადმი. ბრაზილიის ბანკის აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უაღრესად საჭიროა საბჭოთა მრეწველობის იმ საქონლის შესწავლა, რომლებიც შეიძლება ბრაზილიამ შეისყიდოს.

თუმცა სსრ კავშირის წილი ბრაზილიის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობაში ჯერჯერობით დიდი არ არის, აღნიშნულია მოხსენებაში, შესანიშნავი შესაძლებლობებია ნედლეულის, სამრეწველო საქონლისა და კვების პროდუქტების მიწოდების ურთიერთშეწონასწორებული გადიდებისათვის.

### სხდომა გაიხსნა

□ **სოფია,** 20 თებერვალი. (საქდესი). აქ გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტის რიგგარეშე სხდომა.

სხდომაზე განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საინტეგრაციო ღონისძიებათა მრავალმხრივი გეგმის შემუშავებასთან, 1976-1980 წლებში და უფრო შორეულ მომავალში მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებისა და უმნიშვნელოვანესი პრობლემების დაზუსტებასთან.

### წყალდიდობა იტალიაში

□ **რომი,** 20 თებერვალი. (საქდესი). წარსულ პარასკევს გადაუღებელი წვიმების შედეგად პიემონტის ოლქში (ჩრდილოეთი იტალია) ბევრი მდინარე ადიდდა. დატბორილია მინდვრები, ტყის სავარგულები, გზები. ზოგიერთი დასახლებული პუნქტი მოწყდა გარე სამყაროს.

ძალიან აიწია წყლის დონემ მდინარე პოში, რომელიც ადიდდა, დატბორა ტურინის სანაპიროები და შენობათა სარდაფები.

### კვლავ სროლა

□ **ბეირუთი,** 20 თებერვალი. (საქდესი). ისრაელის არტილერიამ სამშაბათს ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი დაუშინა სამხრეთ ლიბანის დასახლებულ პუნქტებს ჰალდას, რაშაია ალ-ფუჰარს, ქფარ-შუბას, ალმაჯიას. სროლის შედეგად მიყენებულია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

# მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის

### მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

**სოფია.** 19 თებერვალი.. (საქდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ. დილის სხდომებზე გამოვიდნენ კომისიათა ხელმძღვანელები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის შესახებ. იგი შეიცავს მოწოდებას, რომ მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა დაამყარონ ინდოჩინეთის ამ რაიონში. ასევე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. სესიის მონაწილეებმა დაამტკიცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეპეშის ტექსტი. დეპეშა მოუწოდებს კურტ ვალდჰაიმს გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი ავტორიტეტი, რათა იხსნას ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა ჩილელი პატრიოტები.

დიდი აღმავლობით, შეკრებილთა ტაშის გრიალში მიიღეს სესიის ძირითადი დოკუმენტი — მოწოდება „მტკიცე, დემოკრატიული და სამართლიანი მშვიდობისათვის“.

შემდეგ გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახალი შემადგენლობისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია რომეშ ჩანდრა.

საღამოს, სესიის საზეიმო დახურვაზე, სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ. მან მაღალი შეფასება მისცა პირობებს, რომლებშიც სესია მიმდინარეობდა, მისი მუშაობის შედეგებს. საერთაშორისო ურთიერთობაში ამჟამად მიმდინარე შემობრუნებზე „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისა და ფართო თანამშრომლობისაკენ, ხაზგასმით აღნიშნა რ. ჩანდრამ, ფართო პერსპექტივებს უსახავს მშვიდობისათვის მოძრაობას. იგი დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის კაცობრიობის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. საჭიროა გავაერთიანოთ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ღონისძიებანი, რათა შეუქცევადი გავხადოთ დადებითი ცვლილებანი პლანეტის პოლიტიკურ კლიმატში.

## კონტინენტებზე

**ბონი.** გერმანელთა კომპარტიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტური პრესის ფონდში უკანასკნელ თვეებში შემოვიდა 1,5 მილიონამდე მარკა. როგორც გაზეთი „უნზერე ცაიტი“ იუწყება, ეს სახსრები მიღებულია გერმანელთა კომპარტიის ორგანიზაციებისაგან საწარმოებში, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, დემოკრატიული გაერთიანებებისა და ცალკეული პირებისაგან.

**ლონდონი.** ინგლისში უსახლკაროთა დამხმარე ერთ-ერთი წამყვანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შელტერი“ იწყებს ახალ კამპანიას ლოზუნგით „უსახლკაროთა უფლებების დასაცავად“. ამჟამად ქვეყანაში არის სულ ცოტა 100 ათასი უსახლკარო, აქედან 20 ათასი — მარტო ლონდონში.

**ჰააგა.** სურინამის მთავრობა, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1973 წლის დამლევს, მოითხოვს დამოუკიდებლობა მიანიჭონ ჰოლანდიის ამ სამფლობელოს სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სურინამის პრემიერ-მინისტრმა ხ. არონმა პარლამენტში გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სურინამის დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს არაუგვიანეს 1975 წლისა.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის დედაქალაქში ჩასულმა პარაგვაელმა ლტოლვილებმა მოუწოდეს არგენტინისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციას მოსთხოვონ პარაგვაის რეჟიმს, რომ შეწყვიტოს წამება და რეპრესიები პარაგვაელი პატრიოტების წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ რამდენიმე დღის წინათ პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში დააპატიმრეს და აწამეს სამი სტუდენტი. ამჟამად მათი ბედი გაურკვეველია.

**დელი.** დელში დაიდო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის ფართოდ განვითარებას კორპორაციებს „ნეპალიზ ოილსა“ და „ინდიან ოილს“ შორის. ამ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს აქ გამართული ოთხი დღის მოლაპარაკების შედეგად, ინდოეთი რამდენადმე გაადიდებს ნეპალისათვის ნავთობპროდუქტების მიწოდებას, აგრეთვე მიაწვდის მოწყობილობას, რომელიც საჭიროა ამ პროდუქტების ტრანსპორტირებისათვის.

**კაირო.** არაბული ქვეყნების ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების თათბირზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, მიიღეს გადაწყვეტილება შექმნან აფრიკის ეკონომიური განვითარების არაბული ბანკი.

ბანკის შექმნის მთავარი მიზანია, იუწყება გაზეთი „ალ-ახბარი“, — აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკის განვითარებისათვის დახმარების გაწევა.

**ტანანარივე.** მადაგასკარის სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია აქ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნის

# სიონისტთა ძირგამომთხრელი გეგმები

**კამპალა.** 19 თებერვალი. (საქდესი). ისრაელის პროპაგანდა ემზადება გააჩაღოს ნამდვილი „ფსიქოლოგიური ომი“ აფრიკის წინააღმდეგ, რათა გათიშოს აფრიკის სახელმწიფოთა ერთიანი ისრაელისსაწინააღმდეგო ფრონტი, წერს გაზეთი „ვოის ოფ უგანდა“, რომელიც აქ გამოდის. სიონისტურმა ხელმძღვანელებმა, აღნიშნავს გაზეთი, შეიმუშავეს ფართო პროპაგანდისტული კამპანიის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს განხეთქილება ჩამოაგდოს აფრიკელ და არაბ ხალხთა ურთიერთობაში.

მაგრამ, წერს „ვოის ოფ უგანდა“, აფრიკის ხალხებმა კარგად იციან, რომ თელავიველი მმართველები ყოველნაირად ცდილობენ განამტკიცონ კავშირი დამოუკიდებელი აფრიკის უბოროტეს მტრებთან — სამხრეთაფრიკელ და როდეზიელ რასისტებთან და პორტუგალიელ კოლონიზატორებთან და რომ ისრაელი დღემდე განაგრძობს მიტაცებული არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. ამიტომ ისრაელის ცდები — დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები კონტინენტზე — განწირულია ჩასაფუშავად, წერს გაზეთი. მათ უპირისპირდება აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი, რომელსაც შეურიგებელი პოზიცია უკავია ისრაელ აგრესორთა მიმართ.

# დიპლომატიური კონფერენცია

**ჟენევა,** 20 თებერვალი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა დიპლომატიური კონფერენცია, რომელიც განიხილავს შეიარაღებული კონფლიქტებისადმი შეფარდებით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განმტკიცებისა და განვითარების საკითხებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს 100-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლები, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაცია.

## ფაქტები

## ხუნტის სისხლიანი ტერორი

**ბუენოს-აირესი.** 20 თებერვალი. (საქდესი). ჩილეს დიქტატორული რეჟიმი არ აპირებს სისხლიანი ტერორი შეწყვიტოს ჩილელ პატრიოტთა წინააღმდეგ და გააუქმოს რეპრესიული ღონისძიებანი. სამხედრო ხუნტის მეთაურმა გენერალმა პინოჩეტმა განაცხადა, რომ საალყო წესები და ეგრეთ წოდებული „საგანგებო ღონისძიებანი“ სახალხო ერთიანობის მომხრეთა წინააღმდეგ კიდევ მრავალ წელს იარსებებს. ბრაზილიის ჟურნალ „ვეჟისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ „საგანგებო ღონისძიებანი“ არ შეიძლება გაუქმდეს „სულ ცოტა ხუთი წლის განმავლობაში“.

პინოჩეტმა აღიარა, რომ ჩილეში ქაოსი სუფევს.

**ბრიუსელი.** 20 თებერვალი. (საქდესი). ჩილეს ხუნტის დილეგებიდან თავდაღწეული თვითმხილველების ნაამბობი, მსოფლიო პრესის ცნობები მოწმობენ, რომ ფაშისტური რეჟიმი ჩილეში არც ერთი წუთით არ წყვეტს რეპრესიებს დემოკრატთა, სახალხო ერთიანობის მთავრობის მომხრეთა და პროფკავშირულ აქტივისტთა წინააღმდეგ, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის მდივანმა რობერ დამემ. მან აღნიშნა, რომ ხუნტის გენერლებმა გააუქმეს დემოკრატიული თავისუფლებანი და კანონიერება. ქვეყანაში გრძელდება მკვლელობა და წამება, არღვევენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს,

# შეთანხმება გაუქმნელდება

**ბრიუსელი,** 19 თებერვალი (საქდესი) აქ გაიხსნა „საერთო ბაზრის“ მინისტრების საბჭოს მორიგი სესია სოფლის მეურნეობის მინისტრთა დონეზე, რომელიც მიეძღვნა 1974-1975 წლებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ფასების დადგენას.

ეს საკითხი უკვე ორჯერ განიხილეს ევროპის ეკონომიური გაერთიანების სოფლის მეურნეობის მინისტრებმა, მაგრამ ამ გაერთიანების პარტნიორებს შორის სერიოზული უთანხმოების გამო ეს საკითხი ვერ გადაიჭრა. ბელგიის გაზეთი „სუარი“ ამასთან დაკავშირებით პირდაპირ აცხადებს, რომ ახლანდელი სესია ძნელი და გაჭიანურებული იქნება და საეჭვოა, რომ მას რაიმე კონკრეტული შედეგი მოჰყვეს.

წინა სესიებზე სოფლის მეურნეობის მინისტრების უთანხმოება წარმოიშვა ევროპის გაერთიანებათა კომისიის იმ წინადადების განხილვისას, რომ საშუალოდ 7,5 პროცენტით გაიზარდოს შესყიდვის ფასები.

ქვეყნების ნაწილმა, კერძოდ საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ და ირლანდიამ განაცხადეს, რომ ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადება შესყიდვის ფასების გადიდების შესახებ არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მზარდ თვითღირებულებას. ამიტომ ისინი მოითხოვენ 12,4 პროცენტით გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასები.

ამავე დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ინგლისსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას კომისიის წინადადება შესყიდვის ფასების გადიდების შესახებ სავსებით საკმარისად მიაჩნიათ.

ყოველივე ეს, ალბათ, გამოიწვევს მძაფრ კამათს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში პარტნიორებს შორის. ახლანდელ სესიას კიდევ უფრო გაამწვავებს ფრანგ გლეხთა ამასწინანდელი მძაფრი გამოსვლები სტრასბურგში და ევროპის ეკონომიური გაერთიანების სხვა ქვეყნების გლეხთა გამოსვლები, რომლებიც მტკიცე პროტესტს აცხადებენ სოფლის მეურნეობის დარგში „საერთო ბაზრის“ არაეფექტიანი პოლიტიკის წინააღმდეგ.

აქვე დაიწყო მუშაობა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს მორიგმა სესიამ ფინანსთა მინისტრების დონეზე. დღის წესრიგშია ფრანგული ფრანკის თავისუფლად მერყევი კურსის შემოღებასთან დაკავშირებული პრობლემები და საფრანგეთის ამ ნაბიჯის შედეგები „საერთო ბაზრის“ მომავალი ეკონომიური და სავალუტო კავშირისათვის.

ფინანსთა მინისტრები განიხილავენ ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებებს, რომლებიც ეხება „ცხრათა“ ერთიანი სავალუტო პოლიტიკის გატარებას, კერძოდ ოქროს ფასის განსაზღვრას.

ადგილობრივი მიმომხილველნი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის საფრანგეთი და იტალია, დაჟინებით მოითხოვენ დაწესდეს ოქროს ისეთი ფასი, რომელიც შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას.

## საერთაშორისო შენიშვნები

# არჩევნები ინგლისში

### ვის გაუღიმებს „ორპარტიული ფორტუნა?“

როცა პრემიერ-მინისტრმა ედვარდ ჰიტმა გამოაცხადა, რომ კონსერვატორთა პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 28 თებერვალს ვადამდე ჩაატაროს პარლამენტის არჩევნები (ახლანდელი მთავრობის რწმუნებათა კანონიერი ვადა იწურება 1975 წლის ივნისში), ინგლისს ეს ამბავი მაინც და მაინც არ გაჰკვირვებია. უკვე წინა რამდენიმე კვირის განმავლობაში ორი მთავარი პარტიის შტაბ-ბინებში გაფაციცებით მუშაობდნენ წინასაარჩევნო მანიფესტების პროექტებზე. ინგლისი დიდი ხანია გრძნობდა, რომ კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის ახალი წინასაარჩევნო ჭიდილი გაიმართებოდა.

1970 წლის თავის წინასაარჩევნო სატელევიზიო პროგრამებში კონსერვატორთა პარტია მაყურებლებს უჩვენებდა ნახევრად შეკვეცილ ქაღალდის ფულს — ერთ გირვანქა სტერლინგს. ამასთან დიქტორი აცხადებდა: „როცა ხმას აძლევთ ლეიბორისტებს, ხმას აძლევთ გირვანქას, რომელიც 10 შილინგი ღირება!“ (გირვანქა სტერლინგის ნომინალური ღირებულება — 20 შილინგი). მაგრამ კონსერვატორთა პირველივე ღონისძიებებს, ხელისუფლების სათავეში მათი ჩადგომის შემდეგ გარდუვალად მოჰყვა ფასების შემდგომი ზრდა. კონსერვატორთა პარტიის პროგრამა მდგომარეობდა იმაში, რომ გადასახადების ტვირთი საბოლოოდ გადაეკისრებინათ მშრომელი მასებისათვის. ეს კი ნიშნავდა გადასვლას გადასახადების პირდაპირი შეწერისაგან, როცა გადასახადებს იხდიან შემოსავლის შესაბამისად, არაპირდაპირზე, რომლებიც შედიან საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში. ახალი „მეთოდი“ შეიმუშავა ფინანსთა მინისტრმა იან მაკლეოდმა. არაპირდაპირ გადასახადებს უმატებდნენ თვითეული პროდუქტის ღირებულებას მისი წარმოების ყოველ სტადიაში. და საბოლოო ანგარიშით ამან შესამჩნევი გავლენა მოახდინა მყიდველის ჯიბეზე. ასეთივე რამ მოხდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სფეროში. ხელისუფლების სათავეში კონსერვატორთა პარტიის ჩადგომისთანავე 1970 წელს ცდილობდნენ მთავრობაზე მოეხდინათ გავლენა „თავდაცვის“ ხარჯების გადიდების მიზნით. მისი მეგობრები დიდი ბიზნესიდან, რომლებმაც მილიონები შეიტანეს კონსერვატიული პარტიის წინასაარჩევნო ბრძოლის ფონდში, ახლა მოითხოვდნენ კომპენსაციას სუბსიდიების სახით. ბოლო მოეღო იმ გაუბედავ ზომებს, რომლებსაც მანამდე ახორციელებდა ჰაროლდ ვილსონის ლეიბორისტული პარტია იმისათვის, რომ კონტროლქვეშ აეყვანა ის უდიდესი მოგება, რასაც იღებდნენ მიწის ნაკვეთების გაზრდილი ფასებიდან. წარსულს ჩაბარდა აგრეთვე წინანდელი ცდები შეეზღუდათ მოგება. ყოველივე ეს ნიშნავდა მხოლოდ ერთს — მასირებულ შეტევას მშრომელთა ცხოვრების დონეზე, იმ ეროვნული რესურსების წილის შემცირებას, რომლებსაც განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, მოხუცთა დასახმარებლად და სოციალური მომსახურების სხვა სახეებისათვის იყენებდნენ. ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“ მოჰყვა ცხოვრების ღირებულების უფრო მეტად გადიდება. კონსერვატიულმა პარტიამ გაატარა კანონი, რომელმაც სერიოზულად შეზღუდა პროფკავშირების უფლებები გაფიცვაზე. ამ ნაბიჯის გადადგმით ე. ჰიტი ხელისუფლების სათავეში თავისი ყოფნის უკვე პირველ წლისათვის შეხვდა ისეთი ოპოზიციის ზრდით ინგლისის ყველა ორგანიზებული მუშების მხრივ, რომელიც ამ ქვეყანაში არ ყოფილა საყოველთაო გაფიცვის დროიდან 1926 წელს. ტრედ-იუნიონების ბრიტანეთის კონგრესის გენერალური საბჭო ხმის დიდი უმრავლესობით გამოვიდა ანტიპროფკავშირული კანონმდებლობის წინააღმდეგ, რომელიც მმართველმა წრეებმა მოახერხეს გაეტარებინათ პარლამენტის საშუალებით. კონსერვატორთა პარტიამ, „დიდი ბიზნესის“ ამ წარმომადგენელმა უარი თქვა იმაზეც კი, რომ როგორმე დაემალა თავისი კლასობრივი პოლიტიკის სიშიშვლე. მას საჭიროდ არ მიაჩნია იკისროს „პასუხისმგებლობა“ ათასობით ადამიანის ბედისათვის და განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაზე უმუშევრობის ზრდის თავიდან აცილების მიზნით.

კონსერვატორთა მთავრობა თავის კონფრონტაციაში 270 ათას მაღაროელთან, რომლებმაც ახლა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს და ხელფასის არსებითად გადიდებას მოითხოვენ, უკიდურეს ზომაზე წავიდა — დაითხოვა თემთა პალატა.

კონსერვატორები ვარაუდობენ პარლამენტის ვადამდე არჩევნებით ხელშესახები პოლიტიკური სარგებლობა მიიღონ.

ვინ გაიმარჯვებს 28 თებერვალს?

ინგლისურ ორპარტიულ სისტემას ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარგად არის დაბალანსებული. რა უცნაურიც უნდა გვეჩვენებოდეს იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც მუდამ აძლევენ ხმას ლეიბორისტებსა და კონსერვატორებს, დაახლოებით თანასწორი რჩება. ამ წონასწორობის დაცვა ქიმერული იქნებოდა, კონსერვატორები წლითიწლობით რომ არ აღწევდნენ მუშათა კლასის მესამედის „ოჯახურ“ ერთგულებას. ოსტატობა, რომლითაც კონსერვატორები აღწევენ ასეთ უცვლელობას, ბურჟუაზიული დემოკრატიის თაყვანისმცემელთა გაძლიერებული ყურადღების ღირსია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინგლისში ორპარტიული წონასწორობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება გახდა ორივე პარტიული მანქანის თანაბარი სიდიდის ფინანსური სიმძლავრე. ლეიბორისტების საარჩევნო კამპანიის საფასურს იხდიან მშრომელნი პროფკავშირთა პოლიტიკური ფონდების მეშვეობით. კონსერვატორებს ფულს აძლევენ მონოპოლიები, არც თუ ჭარბად, არამედ რამდენიც საჭიროა. ისევე როგორც წარსულ არჩევნებში, იმედები და შიში, ეტყობა, დაკავშირებული იქნება მოსახლეობის იმ დაახლოებით 20 პროცენტთან, რომელიც ხმას აძლევს ხან ერთს, ხან მეორეს. სწორედ ისინი, ეს „მცურავი ამომრჩევლები“ განმსაზღვრელი ძალა ხდებიან ორპარტიული სისტემის პირობებში.

კონსერვატიული პარტიის მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული პრეტენციოზულად დასათაურებული საარჩევნო მანიფესტიდან „მტკიცე მოქმედება სამართლიანი ბრიტანეთისათვის“ გამოდის, რომ თავის საარჩევნო კამპანიაში იგი მთავარ ყურადღებას აპყრობს ბრძოლას პროფკავშირული მოძრაობისა და ქვეყნის მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. კონსერვატორები იძულებული არიან აღიარონ, რომ ქვეყანა ძალიან მძიმე კრიზისს განიცდის, ხოლო არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მისი დაძლევისათვის. მაგრამ მანიფესტი შეიცავს დაუფარავად გადაკრულ მითითებებს იმის შესახებ, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კონსერვატორები კვლავ ეცდებიან კრიზისიდან გამოსავალი იპოვნონ მშრომელთა ხარჯზე.

არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს კომუნისტებმა, რომლებმაც განიზრახეს თემთა პალატაში თავიანთი კანდიდატები წამოაყენონ. კომპარტიის იწვევს ამომრჩევლებს მოუწოდებს ეცადონ იმის მიღწევას, რომ შემოღებულ იქნას, კერძოდ, სასტიკი კონტროლი ფასებზე, შემცირებულ იქნას სამხედრო ხარჯები, განხორციელდეს მსხვილი კომპანიების ნაციონალიზაცია, ინგლისი გამოვიდეს „საერთო ბაზრიდან“, ქვეყანამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეკონომიურ თანამშრომლობაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კომუნისტები ამომრჩევლებს მოუწოდებენ მოითხოვონ, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც დაეყრდნობა მუშათა მოძრაობას და განახორციელებს მშრომელთა ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.

ახლანდელი არჩევნები ინგლისში ჩაივლის ფრიად რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, სოციალურ წინააღმდეგობათა ახალი გამძაფრების პირობებში.

**ა. ქარუმიძე.**

# ქვები ალაპარაკდნენ

**აღდგენილია** აჯიმუშკაის მიწისქვეშეთში ნაპოვნი კიდევ რამდენიმე დოკუმენტი. ახლა ცნობილი გახდება ახალი სახელები გმირებისა, რომლებმაც ქერჩის მახლობლად მდებარე მღვიმეები 1942 წელს გადააქციეს მტრისათვის მიუდგომელ სიმაგრედ. ქერჩისათვის გმირი ქალაქის საპატიო წოდების მინიჭების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში ნათქვამი იყო: „ამ ჯილდოთი სამშობლო, პარტია, მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი მადლობას უხდიან გმირ მეომრებს, ყირიმის ნახევარკუნძულზე წარმოებული ბრძოლების უშუალო მონაწილეებს, საბჭოთა პატრიოტების მამაცურ გმირობას აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოებში"...

**ორი** წლის წინათ ქვის სამტეხლოებში მუშაობა დაიწყო ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას" ინიციატივით შექმნილმა ექსპედიციამ. ძიების პირველი შედეგების შესახებ „პრავდა" მოგვითხრობდა 1973 წლის 15 აპრილს. მრავალი აღმოჩენით დაბრუნდა აჯიმუშკაიდან ჟურნალის მეორე ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ ოდესის რაზმ „პოისკის" კომკავშირელები, ოდესის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, ქერჩის ახალგაზრდობის ჯგუფი.

— მიზნად დავისახეთ: გვეპოვნა სეიფი მიწისქვეშა გარნიზონის შტაბის დოკუმენტებით, — ამბობს ექსპედიციის ერთ-ერთი ინიციატორი არსენი რიაბიკინი. — ძირითადი დოკუმენტები თუმცა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ ხელში მოგვხვდა მოწმობანი ადამიანთა ლეგენდარული გმირობისა, რომლებიც უკანასკნელ ხელჩურვამდე, ჰაერის უკანასკნელ ჩასუნთქვამდე იბრძოდნენ...

ძიების მონაწილენი ჯალამბრებით, ავტომობილის დომკრატებით სწევდნენ წოლხვრელებში ქვის ლოდებს, შლიდნენ ჩამონაქცევებს, ნიჩბებითა და ხელით ფრთხილად თხრიდნენ მიწას. მესანგრეები ნაღმსაძებნელებით სინჯავდნენ გარშემო ყველაფერს, აპარატებში ხშირად გაისმოდა დამახასიათებელი სტვენა: ლითონია! იქნებ სეიფია? არა, ამჯერადაც ყუმბარის მსხვილი ნამსხვრევია. დენთის ჭვარტლით გამურული ქვის სამტეხლოების კედლები პირდაპირ სავსეა ტყვიებით, ჭურვების ნატეხებით. ფაშისტები პირდაპირი დამიზნებით ესროდნენ კატაკომბებს და სატანკო ზარბაზნების ზოგიერთი ჭურვი ხვდებოდა წოლხვრელებს და ფეთქდებოდა.

ყოველდღე რაიმე აღმოჩნდებოდა ხოლმე. შორეული გალერიიდან მოიტანეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ჰილზი, რომლის ფსკერზე ხორბლის მარცვლები იყო. ვეტერანებმა განმარტეს: ჰილზს საზომად იყენებდნენ. ჯარისკაცები ღამით გამოდიოდნენ მიწისქვეშეთიდან, მინდორში გადიოდნენ და ფაშისტების ცხვირწინ კრეფდნენ 1942 წლის მოსავლის თავთავებს, რომ შეევსოთ სურსათის დაკნინებული მარაგი.

უფროსმა სერჟანტმა ალექსანდრე ანტონჩმა დალუპული მეომრის გიმნასტურაში ავტომატის ვაზნები აღმოაჩინა. გმირის გვარი უცნობია. ერთი რამ ცხადია: კაცს ბოლომდე უბრძოლნია. შემოდგომაზე, როცა კატაკომბებში სინესტე ჩადგა, ვაზნებს გაფუჭება დაუწყია. საბრძოლო მასალები რეკომენდებული იყო მშრალ ადგილას შეენახათ. და აი ეს ჯარისკაციც უკანასკნელ ჟამამდე გულთან ინახავდა ვაზნებს...

მესანგრე მაის მელიქიანმა ნიჟარქვის ფენის ქვეშ საველე ფოსტის ნომრიანი სამკუთხედი დაინახა. დაიწყო თხრა და მის ქვეშ ჯარისკაცთა წერილების მთელი საწყობი აღმოჩნდა, წერილები ნაპირებშემომწვარი, მიწაში ჩაწნეხილი იყო.

ექსპედიციაში ამჯერად მიწვეულ იქნა გამოცდილი რესტავრატორი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი თამარ ნიკოლოზის ასული იუტანოვა. მისი მეთვალყურეობით ყველაფერი, რაც იპოვნეს, პატარ-პატარა ნაკუწი ქაღალდებიც კი, გულმოდგინედ შეაგროვეს — აღმოჩნდა 200-ზე მეტი წერილი. აკურატულად ჩააწყეს ორ ჩემოდანში.

და აი მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოში ვართ. თამარ ნიკოლოზის ასული არჩევს ყველაფერს, რაც ჩემოდნებშია.

ჩვენს წინაშეა ქვები, ოღონდ არა რიყის ქვები, არამედ ნიადაგის გაყვითლებული შემცხვარი ნაჭრები. ასეთი გამხდარა შეკვრა ქაღალდები, ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს კარიერში რომ დარჩენილა.

— და აპირებთ რაიმე წაიკითხოთ?! — უნებურად აღმომხდა კითხვა.

— დიახ, — მშვიდად მიპასუხა რესტავრატორმა. — ზოგი რამ უკვე წავიკითხეთ. — და მაგიდაზე აწყობს თანჭრით, მელნით დაწერილ ფურცლებს.

— როგორ მოახერხეთ?

— დავალბეთ, ტალახისაგან გავწმინდეთ, დეზინფექცია გავუკეთეთ.

ჩვეულებრივ სიტყვებს უკან გატაცებული ოსტატის იუველირული შრომაა. გამაგრებული მასიდან უნდა გამოეყოთ მსხვრევადი ფურცლები, გაუფრთხილებლად სულის შებერვით მტვრად რომ იქცეოდნენ, გაეთავისუფლებინათ დაკრული მიწის ფენისაგან, ერთი ასოც არ დაეზიანებინათ...

წერილები გაგზავნილი იყო შტოლნებში ვანლაგებული საველე სადგურის მისამართით. წერილები, გაგზავნილი 1942 წლის აპრილსა და მაისში — სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენებზე.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ წრფელ, გულიდან აღმომხდარ სტრიქონებს. ზოგში სიხარულია იმის გამო, რომ მათი შვილი ფაშისტებს ანადგურებს, სხვებში შიშია: „ცოცხალი ხომ ხარ? მოგვწერე!" სხვებში სიყვარულის სიტყვები, რომლების თქმაც მორიდებია ქალიშვილს, ფრონტზე რომ მიაცილებდა სატრფოს...

ჩვენთვის უცნობი შოთა სწერს სიძეს ვასოს: „ვისურვებ შენი მძლავრი ფოლადის მანქანით რაც შეიძლება მეტი საძულველი მტერი გესრისოს. შენ და შენი მეგობარი ტანკისტები იმ დევგმირთა მსგავსი ყოფილიყავით, რომლებზეც პოემა შექმნა შოთა რუსთაველმა"...

ქალიშვილის მთრთოლვარე ხელი — წერილი სომხურ ენაზე. ელენე ნაზ სალამს უთვლის ფრონტელ ლადოს: „ნუ ღელავ, შენს გარდა არავის გავყვები, მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ჩემო ლადო, ზაფხულში გელი, ჩემო ბედნიერებავ..."

მარიამ აჭილამ-ოღლოვა სწერს დიმიტრი იაკობის-ძე ბალიკოს ქართულ დაბა (ახლა ქალაქ) ლაგოდეხიდან: „მივიღეთ ფოტოსურათი, რა სიხარული იყო გიკოცნიდით სახეს. ხშირად მოიწერე... და კიდევ ახალი ამბავი. ლიონიამ უკვე ორდენი მიიღო, ბრძოლებში გამოიჩინა თავი, მაგრამ რა ორდენია, არ ვიცი...".

გაუფერულებული „ქიმიური" მელნით დაწერილი სტრიქონები ჩანს კიდეებშემომწვარ ფურცელზე. მოსწავლე ვოლოდია მედვედევი ქალაქ სასოვოდან ახალ ამბებს უზიარებს თავის უფროს ძმას ივანეს:

„გითვლი ჩემს მოსწავლურ სალამს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს შენს საბრძოლო ცხოვრებაში. ყველანი ცოცხალი და ჯანმრთელი ვართ. ჯერ-ერთი, გაცნობებ, რომ ახლა ვსწავლობთ სამ ცვლად, ჩემი მეცადინეობა დილის 3.40-დან 9.15-მდეა. ექვსექვსი გაკვეთილი ყოველდღე. 8 აპრილს ჩავაბარე ჩათვლა სამხედრო საქმეში. ჩავაბარე ფრიადზე. სამხედრო ხელმძღვანელმა ბარანოვმა შემაქო; შემხვდა სამი კითხვა: უნდა მეჩვენებინა ხიშტით ბრძოლა, ხელის ტყვიამფრქვევი და მისი მოქმედება, როგორია სანგრები და როგორ უნდა გავაკეთოთ ისინი საბრძოლო ვითარებაში. ახლა კომბაინს ვსწავლობთ. ამაშიც ჩათვლა გვექნება. ჯერჯერობით ჩვენებმა... უნდა ხნან, ჩვენ კი რემონტზე ვიმუშავებთ. ხოლო პური შემოვა თუ არა, ალებას დავიწყებთ. რაც შეიძლება კარგად, უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ, რადგან ყოველი მარცვალი ჩქარობს ჩვენს გამარჯვებას. შევიტანე განცხადება კომკავშირში, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიმიღეს..".

ამ გაშლილ სამკუთხედში კი სულ რამდენიმე სიტყვაა. ფანქრით შემოხაზულია პატარა ხელი — სალამი მამიკოს პატარასაგან...

წერილები, შინიდან! მათ სიხარული მოჰქონდათ მეომრებისათვის, ძალას მატებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. არა მარტო რკინისებრი ნებისყოფა, სიმამაცე, არამედ მოკრძალებული სამკუთხედებიც დაეხმარნენ გმირ გარნიზონს უაღრესად მძიმე ვითარებაში გაეძლო, ბოლომდე შეესრულებინა თავისი ვალი ხალხის წინაშე.

ნაპოვნის გამოკვლევა გრძელდება.

**ვ. მოლჩანოვი.**
„პრავდა", 20/II.



# ღირსეული ჯილდო — თავდადებული შრომისათვის

**თბილისის** ფერადი ბეჭდვის სტამბის კოლექტივმა, რომელიც ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის, წარმატებით შეასრულა შარშანდელი გეგმა. დავალების გადაჭარბებით რეალიზებულია თითქმის 90 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,4 პროცენტით, ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 74 ათასი მანეთი.

სტამბა ფერადი და შავ-თეთრი ბლანკებით უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა გამომცემლობას. იგი უშვებს აგრეთვე სახვით პროდუქციას — წიგნების ყდებს, მხატვრულ ალბომებს, ღია ბარათებს.

სტამბის კოლექტივმა 1973 წლის მეოთხე კვარტლის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ზედიზედ მეორედ მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

19 თებერვალს გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა პოლიგრაფისტებისათვის ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას.

კრება გახსნა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. ცაგარელმა. მან სიტყვა მისცა სსრ კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილეს გ. მარტიროსიანს. ორატორმა მიულოცა თბილისელ პოლიგრაფისტებს მიღწეული შედეგები და უსურვა მათ შრომაში შემდგომი წარმატებანი. ტაშის გრიალში გ. მარტიროსიანმა გარდამავალი წითელი დროშა გადასცა სტამბის დირექტორს გ. გოგიჩაშვილს.

პოლიგრაფისტებს აგრეთვე ჯილდო მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. თავამაიშვილმა.

სტამბის დირექტორმა გ. გოგიჩაშვილმა, საამქროს უფროსმა ვ. ლობჟანიძემ, ხარისხის ინჟინერმა თ. ვეშაპიძემ, მბეჭდავმა დ. მეკირტუმოვმა და პარტიული ორგანიზაციის მდივანმა თ. სირბილაძემ აღუთქვეს პარტიასა და მთავრობას, რომ სტამბის კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ამრავლოს მიღწეული წარმატებანი. (საქინფორმი).

# ტრადიცია გრძელდება

### გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში

ერთ დროს კარგად დაწყებული საქმე ჩინებულ ტრადიციად აქცია გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა — იგი ყოველ სეზონში ჩამოდის თბილისში, რათა დედაქალაქის მაყურებელს, თეატრალურ ინტელიგენციას წარუდგინოს თავისი რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლები.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გორის თეატრის კოლექტივმა ამჯერად წარმოადგინა ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა" და კ. ჩაპეკის „თეთრი სენი", რომლებიც თვალნათელი დადასტურებაა თეატრის დღევანდელი მდგომარეობისა, მისი შემოქმედებითი ზრდისა, და რომ აქ რეჟისურა, თეატრალური მხატვრობა და, რაც მთავარია, აქტიორული ძალები გარკვეულ შემოქმედებით დონეს ინარჩუნებენ, ეს ცხადზე ცხადია. იქნებ ამ დროს შენარჩუნებას ხელს უწყობდეს ისიც, რომ ეს თეატრი დაზღვეულია იმ სენისაგან, რომელიც ცუდ გავლენას ახდენს რესპუბლიკის ბევრი პერიფერიული თეატრის შემოქმედებითი დონის ზრდაზე. მხედველობაში გვაქვს ხელმძღვანელი შემოქმედებითი კადრების სისტემატური დენადობა, რაც ასე ხშირია სხვა ქალაქებში. გორის თეატრში წლების განმავლობაში მუშაობს მისი სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი აბრამიშვილი, აგრეთვე ისეთი ჩინებული თეატრალური მხატვარი, როგორიც შოთა ხუციშვილია. კოლექტივი აკეთებს თავის საქმეს სიყვარულით, მონდომებით და მას ხშირად პირუთვნელი კრიტიკის მოსმენა უფრო აინტერესებს, ვიდრე დითირამბებისა, რადგან ეს ნიჭიერი კოლექტივია და სურს იცოდეს, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს, რას მიაქციოს მთავარი ყურადღება.

სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა" რეჟისორ გ. აბრამიშვილის, მხატვარ შ. ხუციშვილის და წარმოდგენის მონაწილე მსახიობების საინტერესო ნამუშევარია. კოლექტივმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი თავის შემოქმედებით და მოქალაქეობრივ პოზიციას, მან ვამოკვეთილად თქვა თავისი სიტყვა. ამ სპექტაკლში თეატრმა გაგვაცნო ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი, ზაზა ნაკაშიძის როლის გონიერი შემსრულებელი ვ. ხაჩიძე. და როცა ასეთი როლი სპექტაკლში დამძლეულია, როცა ზაზა ნაკაშიძის იმედს, მრწამსს ნათლად დაგვიხატავენ, ეს თითქმის მთელი სპექტაკლის გამარჯვებას უდრის, რადგან ზაზა ის ხერხემალია, რომელზეც უნდა აიგოს სპექტაკლის მთელი მიზანდასახულობა. მსახიობი კარგად გრძნობს პარტნიორს, აქვს სცენური ატმოსფეროს შექმნისა და გადმოცემის უნარი, პერსონაჟის სახეს ხსნის ტაქტით, გონივრულად, არსად არ ღალატობს გემოვნება და მუდამ ცდილობს დაიცვას რეჟისორული გააზრების ხაზი.

სპექტაკლში იგრძნობოდა, რომ ბევრი მსახიობი ტექსტუალური მასალის გადმოცემით კმაყოფილდებოდა და არ ცდილობდა მაყურებლამდე მიეტანა არსი თავისი როლისა.

რეჟისორ გიორგი აბრამიშვილის სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კარელ ჩაპეკის „თეთრ სენს" გორის თეატრის სცენაზე წარმატება აქვს. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის სპექტაკლის მხატვარს შ. ხუციშვილს.

თეატრის კოლექტივმა სწორად წაიკითხა პიესა, ნაწარმოებში მიაგნო იმ ძირითადს, რაც განსაზღვრავდა კ. ჩაპეკის ინტერესს მის მიერ არჩეული პრობლემისადმი. ჩაპეკის პიესა ანტიფაშისტური ხასიათისაა და თეატრი ამ სპექტაკლით ერთხელ კიდევ გვაჩვენებს თავის მკვეთრ პოზიციას, ეს კი თეატრის ღირსებებზე ლაპარაკობს.

კარგი სპექტაკლი უწინარესად როლების სწორად გააზრება და შესრულებაა. ამ სპექტაკლში არის რამდენიმე სწორად გააზრებული როლი, რომელიც ხაზს უსვამს მსახიობთა საშემსრულებლო დონეს. მსახიობი გ. ბალიშვილი, რომელიც „თეთრ ბაირაღებში" გულოიანს თამაშობდა, ამ სპექტაკლში ბარონ კრიუგედ მოგვევლინა და გვიჩვენა გარდასახვის კარგი უნარი. ძუნწი და ზუსტი შტრიხები, რომლებსაც იგი ამ სახეში იყენებს, როლს საინტერესოს ხდის. ვ. მარსაგიშვილის დოქტორი ჰალენი, ო. დათუნაშვილის პროფესორი სიგელიუსი და ლ. მცხეთელის მარშალი არის ის ორიენტირები, რომელთა მეოხებითაც სწორად ვკითხულობთ სპექტაკლს. მათი საშემსრულებლო დონე განაპირობებს სპექტაკლის საერთო გამარჯვებას.

ვ. მარსაგიშვილი მთელ რიგ სცენებს ატარებს შესანიშნავად, მას მაყურებლამდე ცხადად მიაქვს როლის არსი, მისი სცენა მარშალთან ჩინებული მაჩვენებელია დოქტორ ჰალენის მტკიცე და ურყევი ხასიათისა. იგი თავის იდეაში დაჯერებული კაცია და იბრძვის კიდეც მისი განხორციელებისათვის.

ხომ ეპიზოდური სახეა ს. ტატალაშვილის კომისარი, მაგრამ მან ამ ეპიზოდშიც კი შთამბეჭდავად გვაჩვენა თავისი პერსონაჟი. ასევე კარგ სახეებს ქმნიან ავადმყოფთა ეპიზოდური როლების შემსრულებლები ჯ. არაქელოვი, გ. დენისაშვილი და ვ. კახნიაშვილი. ოდნავ შებოჭილად გამოიყურებოდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი დ. ჭამაური და ეკ. დადიანი, საკმაოდ სახიერი და გამოკვეთილი იყო ლ. ოზგებაშვილის პროპაგანდის მინისტრი.

გორის თეატრის ორმა სპექტაკლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს თეატრებში რამდენადმე დაბალ დონეზეა მეტყველების კულტურა, ამ მხრივ ბევრი კარგი მსახიობი სცოდავს და ზოგჯერ კარგად შესრულებულ როლსაც კი გარკვეულ ჩრდილს აყენებს.

გორელთა ამ ორმა სპექტაკლმა იმაშიც დაგვარწმუნა, რომ თეატრი სწორი შემოქმედებითი გზით მიდის, პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება თავის მისიას. ამაზე ლაპარაკობდნენ შარშანაც, როცა გორის თეატრი საგასტროლოდ იწვია მოძმე სომხეთის დედაქალაქს.

**გ. ბათიაშვილი.**

## ამინდი

**დღეს, 21 თებერვალს დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია უნალექო ამინდი, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 15-21 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 12-17, მთაში 6-11 გრადუსი სითბო.

**აღმოსავლეთ საქართველოში** იქნება მოღრუბლული ამინდი, აღმოსავლეთ რაიონებში მცირე ნალექი, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 4-9 გრადუსი სითბო, მთაში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

**თბილისში** ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, მცირე ნალექი, ტემპერატურა 7-9 გრადუსი სითბო.

# წიგნის თარო

**მიხეილ ლოხვიცკი — გასროლა მეტეხში** (რუსულ ენაზე). ამ ვრცელი მოთხრობის მთავარი გმირია ცნობილი ქართველი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი. იგი გამოცემულია მოსკოვში, პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ სერიით „მგზნებარე რევოლუციონერები". წიგნის რედაქტორია ა. პასტუხოვი, ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ი. ბლიოხს.

□

**გივი გეგეჭკორი — ჩიტების გამოღვიძება.** პოეტის ამ წიგნში ახალ ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდება ლექსები და ლირიკული პოემები წინაკრებულებიდან: „მზიანი დღე", „ჩემი დღესასწაულები", „ახალი აბზაცი".

რედაქტორი ჯ. ლვინჯილია, მხატვარი დ. ერისთავი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

□

**ბერდია ბერიაშვილი — სიკეთის მარცვალი.** ლექსების კრებული. ამ კრებულში პოეტი უმღერის კომუნიზმის მშენებელ ჩვენს თანამედროვე ადამიანს, მშობლიური ბუნების სიმდიდრესა და სილამაზეს, სიკეთეს, სიყვარულს, პატიოსნებას. კრებულში შეტანილია რამდენიმე განყოფილება: „სიკეთის მარცვალი", „შენ ხარ ვენახი", „სიყვარული იწყებოდა ასე", „ანკარა წყარო", „ღია პრილობა", „ცხოვრებისეული ბალადა".

კრებული გამოსცა გამომცემლობა „მერანმა". წიგნის რედაქტორია მ. ჯაფარიძე. მხატვრობა ეკუთვნის ტ. შეყილაძეს.



# ფეხბურთი... ჭერქვეშ

### თბილისის VII ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში

აი, უკვე მეშვიდე წელია თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი მასპინძლობს ტყავის ბურთის ნორჩ ოსტატებს — დიდი ფეხბურთის ხვალინდელ დღეს.

წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც თითქმის ერთ კვირას გასტანს, გამოდის 16 გუნდი, რომელთა მონაწილეები წლოვანების მიხედვით (1961 და 1962 წლებში დაბადებულნი) ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. გარდა გასული წლის ჩემპიონისა — 65-ე საშუალო სკოლის გუნდისა, ყველა დანარჩენი კოლექტივი სპეციალიზებულ სკოლებს წარმოადგენს.

უკვე გაიმართა პირველი მატჩები, გატანილია პირველი გოლები, გამოჩნდნენ პირველი ბომბარდირებიც...

მთელი წელიწადია არ შეხვედრივართ ნორჩებს, საინტერესოა ასაკთან ერთად რამდენად „აიყარა ტანი" მათმა ოსტატობამ? მაგრამ ამაზე მოგვიანებით, ტურნირის დამთავრების შემდეგ.

ახლა კი თამაშების შესახებ. უმცროს ასაკში განათლების განყოფილების გუნდმა „ჩიორამ" მოიგო ორი შეხვედრა — „ვარძიასთან" (3:2) და „ივერიასთან" (5:2). ასეთივე წარმატებით გამოდის უფროს ასაკში მოასპარეზე განათლების განყოფილების გუნდი „შევარდენი". 3:2 — ამ ანგარიშით დაამარცხა მან „არაგვი", ხოლო „ვარძიას" მოუგო 2:1.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სკოლის გუნდებმა, რომლებსაც სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხი, წარმატებას მიაღწიეს ორივე ჯგუფში. უფროსმა „ავაზამ" მოუგო „თერგს" (3:1), ხოლო უმცროსმა — „შოშიას" (3:0).

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ექვსი მატჩი. „ავაზა-1"-მა მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე შეძლო „ივერია-1" წინააღმდეგობის გატეხვა და გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით 1:0. მისმა უმცროსმა კოლეგებმა — „ავაზა-2" ფეხბურთელებმა „კრწანისთან" ითამაშეს ფრედ — 1:1.

**ო. ნოზაძე.**

## რამდენიმე სტრიქონით

□ **თხილამურები.** ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა გალინა კულაკოვამ კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ფალუნის თოვლიან ბილიკებზე. ორიოდე დღის წინ მიღებულ ოქროს მედალს მან კიდევ ერთი მიუმატა. მისი დრო რბოლაში 10 კილომეტრზე — 31 წუთი და 25,78 წამია.

□ **ტანვარჯიში.** თბილისში დამთავრდა უკრაინისა და საქართველოს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრა, რომელშიც გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს. მრავალჭიდში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ვახტანგ კევლიშვილი (მწვრთნელი ოთარ მიქელაძე). გამარჯვებულმა მოაგროვა 110.5 ქულა. გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი — 72,9 ქულა — ჰქონდა ზაპოროჟიელ რაისა მოვჩანს.

## ჭადრაკი
# პირველი ყაიმი

**კისლოვოდსკი, 20 თებერვალი.** (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ოთხთა შესარჩევი მატჩ-ტურნირის მორიგი, მეოთხე ტური. ალექსანდრია ხვდებოდა ლევიტინას. ნანას მეტოქემ დებიუტშივე შეწირა პაიკი და დაეუფლა ინიციატივას. ალექსანდრია კარგად იცავდა თავს და მოიგერია შავების ყველა მუქარა. ამას მოჰყვა მრავალრიცხოვანი გაცვლები. შეიქმნა თანაბარი ენდშპილი და 26-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შულ-კონოპლიოვას შეხვედრა გადაიდო შულისათვის უკეთეს მდგომარეობაში. მეტოქეები ხვალ კვლავ მიუსხდებიან საჭადრაკო მაგიდას.

ამრიგად, ლიდერს ნანა ალექსანდრიას ახლა 3,5 ქულა აქვს ოთხი შესაძლებლიდან. მეხუთე ტურში, 23 თებერვალს ნანა შავებით ხვდება შულს.

სპორტი

# მამაცი მძღოლები

### გამბედაობა, გამჭრიახობა, ავარიის არცერთი შემთხვევა

**ს**აქკოოპტრანსმომარაგების ზუგდიდის სარაიონთაშორისო ავტოსაწარმოო კანტორა 1967 წელს შეიქმნა. იგი ძირითადად ემსახურება მესტიის რაიონის მშრომელებს, ხოლო ცენტრალიზებული შეზიდვით — ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონებს და ქალაქ ფოთის მშრომელებს.

ავტოსაწარმოო კანტორამ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მაღალნაყოფიერად იმუშავა. წლის გეგმა აქ ყველა დარგში გადაჭარბებით შესრულდა, ნაცვლად 12 ათასი მანეთისა მიღებულია 14.950 მანეთი მოგება.

ჩვენს შეკითხვაზე — რამ განაპირობა ავტოსაწარმოო კანტორის კარგი მუშაობა, მისმა დირექტორმა ა. ლაგვილავამ გვიპასუხა:

— მთავარია შრომისადმი სიყვარული. დისციპლინის დარღვევებს, საქმისადმი უყაირათო დამოკიდებულებას არა მარტო გეგმების ჩაშლა, არამედ ავარიებიც მოსდევს.

მესტია-ზუგდიდის რთულ ტრასაზე გამოყოფილი გვყავს საუკეთესო მძღოლები, რომლებიც 20-25 წელია უავარიოდ და პატიოსნად მუშაობენ. მათ შორის დავასახელებ ლადო ჯაჭვლიანს, ვალიკო ხვიტიას, ბესო გულედანს, შაქრო ცქვიტარიას, ვასო მილდიანს, კაკო ჩემიას, რეზო შელიას, პავლე ფირცხელიანს, ბორის მარგიანს.

ზამთარი მესტიაში ხუთ თვეზე მეტს გრძელდება, ფაქტიურად მთის ხალხი მოწყვეტილია ბარს. ამიტომ სურსათ-სანოვაგის, სამრეწველო საქონლის, საწვავის ატანა კარგ ამინდში უნდა მოხდეს. სიძნელეებს კიდევ უფრო ართულებს სოფლების მაღაზიებამდე საქონლის მიტანა. ავიღოთ თუნდაც უშგული. იგი ზღვის დონიდან 2.200 მეტრზეა გაშენებული. სურსათით თუ სხვა საქონლით დატვირთული ავტომანქანები მძიმედ მიემართებიან მაღლა. აქ ზოგან ისეთი ადგილებია, რომ მძღოლები ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიან. სანამ უშგულამდე მიაღწევდეთ, ბევრი ხიდბოგირი, მთის პატარა მდინარე და ჩანჩქერია გადასალახავი. მდინარე ენგურის სათავესთან, შხარას მთასთან არის გაშლილი სოფელი უშგული. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თ. ფუტკარაძემ სწორედ ამ ადგილას გადაიღო ავტოსაწარმოო კანტორის სურსათით დატვირთული მანქანები, რომლებიც სოფლის მაღაზიისაკენ მიემართებიან.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**სურათებზე:** ზემოთ — ზუგდიდის ცეკავშირის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტოკოლონა მესტიის რაიონის სოფელ უშგულში; ქვემოთ — ავტოსატრანსპორტო კანტორის მოწინავე მძღოლებს (მარჯვნიდან) ვ. ხვიტიას, კ. ჩემიას, შ. ცქვიტირიას, ბ. გულედანს, ლ. ჯაჭვლიანს მორიგ დავალებას აძლევს საწარმოს დირექტორი ა. ლაგვილავა (ცენტრში).

თ. ფუტკარაძის ფოტო.

## რედაქციისაგან

„კომუნისტის" 20 თებერვლის ნომრის მეოთხე გვერდზე მასალაში „დაჯილდოება" პირველი სვეტის მერვე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „დოლიძე გიზო იესეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 1 სამმართველოს უფროსი". შემდეგ როგორც ტექსტშია.

## ტელევიზია

### 21 თებერვალი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთში სამუდამოდ", 2. მხატვრული ფილმი „ადამიანი თავის ადგილზე", 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქიმიაში, 17.20 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთათვის, 18.25 — კინონარკვევი, 18.55 — „სამართლის ცოდნა — მასებს", 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მიმართვის საპასუხოდ — „მეცნიერება სოფელს", 20.20 — „პოეტი — სტუდიაში" — ჯ. ჩარკვიანი, 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „ახალი გრამფირფიტები", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ვედრება", 23.45 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით**

18.05 — მასწავლებლის საათი: მათემატიკა (ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნის ზოგიერთი საკითხი), 18.50 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ლიტერატურა (X-კლასელთათვის. კ. გამსახურდია), 19.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები პოლიტეკონომიაში, 20.25 — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 21.25 — მხატვრული ფილმი „ადამიანი მარტო არ არის".

## რადიო

### 22 თებერვალი

**პირველი პროგრამით**

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ჟ. ბიზე. ნაწყვეტები ოპერიდან „კარმენი", 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ", 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ლ. გეგელია, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ხალხური ლექსები, 12.30 — მ. გლინკა. საფორტეპიანო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — დ. კლებანოვი. მესამე სიმფონიის ფინალი, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — ი. ბუცკოს კანტატა „საქორწილო სიმღერები", 17.40 — მოსწავლეთათვის „ნაწყვეტი ა. წერეთლის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული საორკესტრო პიესები, 18.45 — ე. ოსტროვსკი. სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა", 19.15 მღერის ანსამბლი „გორდელა", 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ე. ელგარი. სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის, 20.30 რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარე ბ ო!", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერებიდან, 22.00 — „ახალი აფხაზეთის მესიტყვე" (დ. გულიას დაბადების 100 წლისთავის გამო), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 21 თებერვალი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **საბრალდებო დასკვნა**; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **ბერნარდა ალბას სახლი**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ნუ გეშინია, დედა!**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **თოვლიანი მთების მელოდიები.**

ნუ ჰკვეთთ, ნუ ჭრით ტყეს

რედაქტორის მოადგილე
**გ. თათარიშვილი.**

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-84. სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04460
საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.